

ლექტორი: მერაბ თავართქილაძე
 მობილური: (895) 305811
 ელ. ფოსტა: merab@cu.edu.ge
 ვებ გვერდი: <http://cu.edu.ge/~merab/>

**კავკასიის უნივერსიტეტი
 თბილისი, საქართველო**

**კურსის დასახელება: CIS 123, კომპიუტერული უნარ-ჩვევები
 შემოდგომის სემესტრი, 2008**

საჭიროება

იმის გამო, რომ კომპიუტერების გამოყენება დღეისათვის არის აუცილებელი თანამედროვე ბიზნეს გარემოში თქვენ უნდა გქონდეთ მყარი ცოდნა და უნარი რათა მიაღწიოთ თქვენ წარმატებას. ამისათვის თქვენ უნდა გააჩნდეთ ელემენტარული კომპიუტერული განათლება.

მიზნები

როდესაც თქვენ დაასრულებთ ამ კურსს, თქვენ უნდა შეძლოთ აჩვენოთ:

1. ძირითადი კომპიუტერული ტექნოლოგიები და კონცეფციები.
2. MS Windows-ისა და მის აპლიკაციებთან მუშაობის უნარი.
3. ინტერნეტის საძიებო სისტემებთან მუშაობა.
4. E-mail-ის აპლიკაციების გამოყენება.
5. MS PowerPoint-თან მუშაობის უნარი.
6. MS Word-თან მუშაობის უნარი.

პოლიტიკა

წინაპირობა: არ მოითხოვება.

საკლასო წესები:

1. დაესწარი! ეს აუცილებელია, რათა მიიღოთ ცოდნა. არ მოგერიდოთ, თუ თქვენ დაუშვებთ შეცდომებს სხვათა წინაშე. შეცდომებზე სწავლა არის სწავლების კარგი საშუალება.
2. ყოველთვის გაქვთ შესაძლებლობა დასვათ შეკითხვა ან გააკეთოთ კომენტარი. ეს დამეხმარება მე, შემდეგი მასალის მომზადებისათვის სწავლების კონცეფციის ასარჩევად.
3. არასასურველია ლექციის გაცდენა, 3 ლექციის (ლექციების 20 %) გაცდენის შემთხვევაში, გაცდენის შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
4. არასასურველია დაგვიანება როგორც ლექციის დასაწყისში, აგრეთვე შესვენების შემდეგაც. თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, კლასში შემოდით ჩუმად. 5 წუთზე მეტი დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება მეცადინეობაზე.
5. აკრძალულია ლექციის დამთავრებამდე საკლასო ოთახიდან გასვლა.
6. აკრძალულია ლექციის მსვლელობისას ლაპარაკი, გარდა ლექტორთან და იმ პირებთან ვისთანაც უფლებას თქვენ მოგცემთ ლექტორი.

7. აკრძალულია ლექციის მსვლელობისას კომპიუტერზე თამაში და ინტერნეტში შესვლა. ინტერნეტში შესვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს ლექციის თემა ან თავისუფალ დროს.
8. აკრძალულია ხმაური, ტექნიკისა და ინვენტარის დაზიანება.
9. პირველად აკრძალვის დაუმორჩილებლობისათვის სტუდენტს აკლდება 1 ქულა, ხოლო მეორის შემთხვევაში სტუდენტი გაძევებული იქნება ლექციიდან.
10. ტესტებისა და გამოცდების მსვლელობისას აკრძალულია "შპარგალკა", კარნახი და ა.შ., ყოველ ასეთ ფაქტზე სტუდენტს აკლდება 3% ტესტის ან გამოცდის მაქსიმალური ქულიდან. შესაძლებელია ასევე დროებით ჩამოგერთვათ მობილური ტელეფონები.
11. გადაწერა არ დაიშვება! გადაწერად ჩათვლება თუ თქვენ დატოვებთ ოთახს საგამოცდო ფურცლით, შეეცდებით მოიპაროთ საგამოცდო ფურცელი, გადმოიწერთ საკითხებს საგამოცდო ფურცლიდან, შეეცდებით დაიხმაროთ სხვა სტუდენტები გამოცდის დროს, გამოიყენებთ დაუშვებელ მასალას გამოცდის მიმდინარეობისას ან ჩააბაროთ სხვა სტუდენტების მიერ გაკეთებული სამუშაო. ფაქტები გადაეცემა სკოლის დირექტორს შემდგომი მოქმედებისათვის. როგორც სასწავლო ჯგუფის წევრები, სტუდენტებს მოეთხოვებათ დააფასონ და მხარი დაუჭირონ აკადემიურ და ინტელექტუალურ სინდისიერების სტანდარტებს.

შეფასების განაწილება:

კლასში დასწრება	5%	(15 დღე, თითო დღე 1 ქულა)	15 ქულა
მცირე საკლასო დავალებები	10%	(10 დღე, თითო დღე 3 ქულა)	30 ქულა
ტესტები	20%	(2 ტესტი, თითო ტესტი 30 ქულა)	60 ქულა
შუალედური გამოცდა	30%		90 ქულა
საბოლოო გამოცდა	35%		105 ქულა
სულ	100%		300 ქულა

დასწრება: თქვენი დასწრება ლექციაზე მნიშვნელოვანია. დასწრებას ენიჭება ნიშნის 5%. დასწრება ნიშნავს ლექციაზე მონაწილეობის მიღებას და თქვენს აქტიურობას. თითო ლექციაზე დასწრება შეფასდება 1 ქულით, სულ 15 დღე - 15 ქულა.

მცირე საკლასო დავალებები: ნაწილდება 10 ლექციაზე, თითო დავალება ფასდება 3 ქულით, სულ 10 დღე - $3 \cdot 10 = 30$ ქულა.

ტესტები: ტესტები შედგება 10-15 შემადგენელი ან სხვა ტიპის შეკითხვებისაგან. ტესტებისათვის გამოიყოფა 30 წუთი კლასში. ტესტებზე იქნება მხოლოდ ის მასალა, რომელიც იყო წაკითხული ლექციაზე და რომლის ლიტერატურაც მიცემული აქვს სტუდენტს. I ტესტის ჩატარების დროა მე-4 ლექციის პირველი საათი, II ტესტის – მე-11 ლექციის პირველი საათი.

გამოცდა: შუალედური ან საბოლოო გამოცდა შედგება შემადგენელი ან სხვა ტიპის შეკითხვებისაგან. გამოცდების ხანგრძლივობა და ადგილია კლასში 1 (ერთი) საათი იმ დღეს, რომელიც მითითებულია სასწავლო პროგრამაში. გამოცდებზე იქნება მხოლოდ ის მასალა, რომელიც იყო წაკითხული ლექციაზე და რომლის ლიტერატურაც მიცემული აქვს სტუდენტს. შუალედური გამოცდა ჩატარდება მე-7 ლექციაზე, ხოლო საბოლოო გამოცდა მე-15 ლექციაზე.

ტესტების აღდგენა: დასაშვებია მხოლოდ ერთი ტესტის აღდგენა გამოცდის დღეს. აკრძალულია შუალედური და საბოლოო გამოცდის აღდგენა (თუ არსებობს ობიექტური მიზეზები საჭიროა დეკანატთან შეთანხმება).

საბოლოო შეფასების გამოყვანა:

შეფასება	პროცენტები	შეფასება	პროცენტები
A ფრიადი	93.1%-100%	D დადებითი, ოღონდ მაპროფილებელ დისციპლინებში	60%-69%
A- ფრიადი მინუსით	90%-93%	F არასაკმარისი აკადემიური ხარისხის მისაღებად	0%-59.9%
B+ კარგი პლუსით	88.1%-89.9%	W მოიხსნა საგნის შესწავლიდან რეგისტრაციის პროცედურით დაშვებულ ვადაში	
B კარგი	82.1%-88%	WF მოიხსნა საგნის შესწავლიდან რეგისტრაციის პროცედურით დაშვებული ვადის გასვლის ან ჩაჭრის გამო	
B- კარგი მინუსით	80%-82%	IP საგანი შესწავლის პროცესშია	
C+ დამაკმაყოფილებელი პლუსით	78.1%-79.9%		
C დამაკმაყოფილებელი	72.1%-78%		
C- დამაკმაყოფილებელი მინუსით	69.1%-72%		

შენიშვნა: ეს კურსი შეიძლება შეიცვალოს შეხედულებისამებრ.

COURSE SCHEDULE

ლექცია 1	Introduction Introduction to Computers Hardware Software
ლექცია 2,3	OS Windows Customizing Desktop, Icons and Shortcut Icons Working with Application Windows File Management Searching Files and Folders MS Paint, Notepad, Calculator
ლექცია 4	Quiz -№1
ლექცია 5	Internet Searching Tips & Useful Web Sites Using Internet Explorer and E-Mail
ლექცია 6	MS Outlook
ლექცია 7	Midterm Exam

ლექცია 8, 9	PowerPoint Overview of the Application Creating Presentation using Templates and Wizards Inserting Text Edit Slides in Different Views, Run a Slide Show Modify Page Setup Customize Color Schemes and Backgrounds Change Text Attributes and Fonts
ლექცია 10	PowerPoint Inserting Bullets Inserting Tables Inserting WordArt and Clipart Objects Apply Animation Effects Printing Handouts
ლექცია 11	Quiz -№2 <i>Presentation</i>
ლექცია 12	MS Word Creating and Saving Documents Typing and Editing Texts Using Templates
ლექცია 13	MS Word Formatting Page, Fonts, Paragraphs Bullets and Numberings Using Graphical Objects Headers and Footers
ლექცია 14	MS Word Tables, Borders and Shadings Spelling & Grammar Options Autocorrect Options Printing
ლექცია 15	Final Exam

ლიტერატურა

1. ნ. ამილახვარი, ინფორმატიკა, ნაწილი I
2. კურსის მასალები ვებ გვერდი <http://cu.edu.ge/~merab/>
3. CD-ROM ზე ჩაწერილი სახელმძღვანელოები